ხელშეკრულება N2856/9
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
(წარმომადგენლობითი ხარჯები)

1 აპრილი 2016 წელი

ქ. თბილისი

ჩვენ, ერთის მხრივ, **სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“** (შემდგომში - ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის **ანა კვარაცხელიას** სახით (**მის:** ქ. თბილისი, მარჯანიშვილის №5/16-18; **ტელ:** 2960010; **ს/კ:** 204582763; **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა 200122900)

მეორეს მხრივ, **შპს „სეზანი“** (შემდგომში - ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი დირექტორის **ტარიელ შავერდაშვილის** სახით (**მის:** ქ. თბილისი, ვირსალაძის №8; **ს/კ:** 203862551; **საბანკო რეკვიზიტები:** სს „თიბისი ბანკი”, კოდი: TBCBGE22 ა/ა GE41TB0600000101467640),

”სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, მეწარმეობის განვითარების სააგენტოს, მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის (ო/კოდი 24010302) 2016 წლის დაფინანსების ფარგლებში, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის #2856 განკარგულების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს “გადაიღე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში, უცხოელი კინოინდუსტრიის წევრებისთვის აღნიშნული პროგრამის დეტალებისა და ინფორმირების მიზნით, და ასევე ქვეყნის გარეთ პოპულარიზაციისათვის, 1200 (ათას ორასი) ცალი ინგლისურენოვანი ბროშურის ბეჭდვა შემდეგი პარამეტრებით: ფორმატი 21სმ/21სმ; 36 გვერდი + გარეკანი; შიგთავსის ქაღალდი 170 გრამიანი ცარცი, ბეჭდვა 4/4; დისპერსიული (დამცავი) ლაკით; გარეკანი 300 გრამიანი ცარი, ბეჭდვა 4/4; გლუვი ლამინაციით; აკინძვა სტეპლერით; (CPV22150000)

1.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2016 წლის 8 აპრილისა, მისამართზე თბილისი, მარჯანიშვილის 5/16-18.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს 3264 (სამი ათას ორას სამოცდაოთხი) ლარს.

2.2. ერთი ცალი ბროშურის ღირებულებაა 2,72 ლარი.

2.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს შესყიდვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

3. მიღება-ჩაბარების წესი, ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ მხარეებს შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.2. შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირების განხორციელება და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება მეწარმეობის განვითარების სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ანა კვარაცხელიას, რომელიც არ იმყოფება ”მიმწოდებელთან” ინტერესთა კონფლიქტში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით საქართველოს ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე მათი უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მისი გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღისა.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და სხვა პირობები

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე არაუგვიანეს 2016 წლის 10 მაისისა.

4.2. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

5. მხარეთა რეკვიზიტები

”შემსყიდველი”
სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ანა კვარაცხელია

”მიმწოდებელი”
შპს „სეზანი“
დირექტორი

ტარიელ შავერდაშვილი